საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავლიანიძე ლიანა სევერიანის ასული

დავლაინიძე ლიანა სევერიანის ასული (დ. 26. XII. 1930, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1992).

1952 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი. 1954–55 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში. შეისწავლა და გამოაქვეყნა თმოგვის ციხის მიდამოების სომხ. ეპიგრაფიკული ძეგლები (1959).

1956–90 მუშაობდა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში. თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს სომხ. საისტ. მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შესავალი წერილითა და შენიშვნებით: მხითარ გოშის „ალვანეთის ქრონიკა" (1968), ზაქარია აგულეცის „დღიური" (1979), იაკობ შემახელის „თამაზ ყული-ხანის ლაშქრობანი" (1978), აბრაჰამ ერევანცის „ომების ისტორია" (1976).

ეს ნაწარმოებები მოიცავს მდიდარ მასალას საქართვ. ისტორიის შესახებ. აქვს მხატვრული თარგმანიც. 1990–2006 მუშაობდა საქართვ. ტექ. უნ-ტში. კითხულობდა საქართველოს ისტ. კურსს (უძველესი დროიდან XIX ს-მდე).

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით (1976).

თარგმ . (გარდა ტექსტში მოხსენიებულისა): მოსე კალანკატუელის „ალვანთა ქვეყნის ისტორია", თბ., 1985; მხითარ აირივანელის „ქრონოგრაფიული ისტორია", თბ., 1990.

თხზ.: Значение армянских источников XVIII века для истории Грузии, Тб., 1985.